



საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC),
სამხრეთ კავკასიური მილსადენის(SCP), სამხრეთ კავკასიური
მილსადენის გაფართოების (SCPX) და
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP)
პროექტები**

**ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI)
2014 წლის აპრილი-ივნისი**

BP-ს საქმიანობა საქართველოში

BP 1996 წლიდან აწარმოებს საქმიანობას საქართველოში. მისი საქმიანობის ძირითადი სფერო მოიცავს კომპანიის მიერ მართული მილსადენების საშუალებით, ენერჯის უსაფრთხო ტრანსპორტირებას და მიწოდებას. ამ დარგში კომპანია წამყვანი ინვესტორი და ოპერატორია ნავთობისა და გაზის სამ პროექტში:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) ექსპლუატაცია 2006 წლის ივნისში დაიწყო. BTC მილსადენი, რომლის სრული სამშენებლო ღირებულების მოცულობა დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, კასპიის და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია. სრული წარმადობით, მილსადენს, საერთაშორისო ბაზრებისთვის დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მიწოდება შეუძლია, რაც მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

სამხრეთ -კავკასიური გაზსადენი (SCP)

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის (SCP) საშუალებით, კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან, გაზის მიწოდება აზერბაიჯანის და საქართველოსთვის 2006 წლის დეკემბერში, ხოლო თურქეთისთვის 2007 წლის ივლისში დაიწყო.

გაზსადენი რეგიონის გაზმომარაგების ახალ, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც აგრეთვე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ბპ-ის მიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. ამ მილსადენით (საერთო სიგრძე – 830 კმ) ნავთობი კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან, აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში მდებარე სუფსის ტერმინალს მიეწოდება. მილსადენის მთლიანი მარშრუტის თითქმის ნახევარი საქართველოშია. ამ მილსადენს, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, დღეში 100 ათასამდე ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია;

BP - საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) პროგრამების მიმოხილვა

პროგრამა BTC/SCP მილსადენების გასწვრივ მიმდებარე სოფლებში

CDI-ს განხორციელება საქართველოში დაიწყო 2003 წლიდან SCP და BTC მილსადენების მარშრუტის მიმდებარე 77 დასახლებაში. თავდაპირველად, პროგრამას ეწოდებოდა „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა 1“ (CIP 1), ხოლო მოგვიანებით, ეს დასახელება შეიცვალა: “ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივით” – (CDI).

CDI 1

მილსადენების მშენებლობის ეტაპზე CDI1-ის მიზანი იყო BP-ს და მილსადენების მიმდებარე მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით,

მილსადენების მშენებლობის პერიოდში პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი, სამი წლის განმავლობაში (2003-2006 წწ.), 8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მსგავსი პროგრამები აზერბაიჯანის და თურქეთისთვისაც შეიქმნა.

BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ (2006 წელი), BP-მ, როგორც BTC და SCP მილსადენების ოპერატორმა, CDI-ის მე-2 ფაზის დაფინანსება კიდევ 3 წლით (2006-2009წწ) გააგრძელა, რომლის მიზანი BTC/SCP მილსადენების მიმდებარე დასახლებების მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება იყო.

CDI 2

CDI-ს II ფაზა (CDI 2) ზოგადად, მიზნად ისახავდა BP-ს და BTC/SCP მილსადენების მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის

პოზიტიური ურთიერთობების გადრმავებას. კერძოდ, იმ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერის გზით, რომელიც მზად არის გახდეს საზოგადოების მდგრადი განვითარების ნიმუში. პროგრამის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება, რათა მათ თავად განეხორციელებინათ თემის განვითარების პროექტები და უზრუნველყოთ მათი მდგრადობა, მინიმალური საგარეო დახმარებით. პროგრამის ფარგლებში უნდა გაზრდილიყო და გაუმჯობესებულიყო მილსადენების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და შესაძლებლობები, მათი BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე.

2008 წლის დასაწყისში მიმდინარე საქმიანობასთან ერთად, დაიწყო CDI 2-ის მარკეტინგული კომპონენტის – პროექტის: „ფერმერები და ბაზარი“ (FtM) განხორციელება. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო მცირე ფერმერების დახმარება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზარზე გასატანად.

პროექტის საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი იყო სამი წლიანი პერიოდის (2008-2011წ.წ.) განმავლობაში და პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 520 ათასი აშშ დოლარს. 2011 წლის დასაწყისში, პროექტის ბიუჯეტში თანხების დაზოგვის შედეგად, პროექტი გაგრძელდა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, კიდევ ოთხი თვით, 2011 წლის ივნისის ბოლომდე. მოგვიანებით, კვლავ თანხების დაზოგვით, პროექტი გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე, პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი თანხების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად,

BP-ის და მისი აქციონერების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში, რომლის მიზანია სამი მილსადენის (BTC/SCP/WREP) პროექტის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა. აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განვითარების პროექტების სტრატეგიიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა საქართველოში BTC/SCP და WREP მილსადენების გასწვრივ 2009 წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

CDI 3

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზა (CDI 3), 2010 წლის მაისში BTC და SCP მილსადენების გასწვრივ დაიწყო. პროგრამის წამყვანმა პარტნიორმა, ორგანიზაციამ, „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, CDI 2-დან CDI 3-ზე შეუფერხებელი გადასვლა განხორციელა პროექტის ახალი ფაზის დაწყებამდე

CDI 2-ის რამდენიმე კომპონენტის გაგრძელებით, ორგანიზაციამ, „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, CDI 3 განხორციელების პროექტი წარმოადგინა, რომელიც, როგორც კომპანიაში, BTC/SCP ჯგუფის მიერ, ასევე, საქართველოში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა განხილული. ამ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო

განვითარების სააგენტო (USAID), ევროკავშირი (EU) და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო სამხრეთ კავკასიაში (SDC).

2010 წლის მაისში ხელი მოეწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას ორგანიზაციასთან: „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რომელიც განახორციელებდა პროგრამას ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან – „ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრთან“ (CTC) და ბანკ „კონსტანტასთან“ ერთად. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის იანვრის ბოლო, ხოლო მთლიანმა ბიუჯეტმა 1,865,081 აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის ბიუჯეტის თანხების დაზოგვის შედეგად, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის დასასრულებლად, პროგრამა გაგრძელდა დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე, ორი თვით, 2012 წლის მარტის ბოლომდე.

პროგრამის მესამე ფაზის მიზანი იყო, მდგრადი სოციალური და ეკონომიური განვითარების ხელშეწყობის გზით, მიღსადენების ტრასის მიმდებარე მცხოვრებ მოსახლეობასთან კეთილგანწყობილი და ჰარმონიული ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. ქვეყნის სპეციფიკის, ასევე პროგრამის I და II ფაზების ფარგლებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო პროექტების ყველაზე შესაფერის ორ ძირითად მიმართულებად, სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება განისაზღვრა.

პროექტის განხორციელების დასაწყისში, ორგანიზაციამ, „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ შეისწავლა იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები, რომლებიც შეძლებდნენ ეკისრათ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობა, CDI 3-ის განმავლობაში. კერძოდ, ეს კომპონენტები იყო: სოფლის მეურნეობის დარგში საკონსულტაციო მომსახურება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარება. „ქეა საერთაშორისომ კავკასიაში“ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია: “რეგიონული განვითარების ასოციაცია” - დასავლეთის სექტორში, ხოლო “ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრს” დაევალა სამუშაოების ჩატარება აღმოსავლეთ სექტორში.

მე-3 ფაზის დაწყებიდან რვა თვის შემდეგ, „ქეა საერთაშორისომ კავკასიაში“ აღნიშნული კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობა გადასცა შერჩეული ორგანიზაციებს. თუმცა, პროგრამის მიმდინარეობის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში, თავად ასრულებდა დამკვირვებლის და კონსულტანტის ფუნქციას.

CDI 3-ის პროგრამის დასასრულს, გაწეული საქმიანობა შეფასდა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ.

მოსახლეობასთან არსებული ურთიერთობის და დადებითი ზემოქმედების თვალსაზრისით მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად, აგრეთვე, კომპანიის საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის და ქვეყნის მასშტაბით კომპანიის რეპუტაციის განსამტკიცებლად, დაიგეგმა „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მე-4 ფაზა.

დამოუკიდებელი შემფასებლების დასკვნითი ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის პროგრამის მართვის გადაცემა მართებულად იქნა მიჩნეული. ამავე შეფასების მიხედვით, დადგინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს – CTC-ს და RDA-ს შესწევდათ უნარი განხორციელებინათ პროგრამის მომდევნო ფაზა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ ორგანიზაციებს წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI 4-ის განხორციელების შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარები ინიციატივა – მე-4 ფაზა

2012 წლის მარტში, „BP საქართველომ“ შესთავაზა CTC-სა და RDA-ს, რომ მათ წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI-ის მე-4, სამწლიანი ფაზის განხორციელების შესახებ (CDI 4).

CDI 4-ის განხორციელების სატენდერო წინადადებები განხილულ იქნა როგორც კომპანიის შიგნით, აგრეთვე, BTC და SCP-ის პასუხისმგებელი პირების, და საგარეო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოში მოქმედი ზოგიერთი ძირითადი დონორი ორგანიზაციის, კერძოდ, ევროკავშირის და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის ოფისის (SDC) - წარმომადგენლები.

განხილვის შედეგად გაირკვა, რომ ორივე ორგანიზაციის წინადადებები შეესაბამებოდა CDI4-ის მიზნებს და შესაძლებელი იყო, რომ CTC-ს პროგრამა განხორციელებინა საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში, ხოლო RDA-ს – დასავლეთ რეგიონში. პროგრამის მე-4 ფაზის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2012 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე, რომლის სრული ბიუჯეტი 3,318,975 აშშ დოლარს შეადგენს.

ზოგადად, პროგრამის მე-4 ფაზის ამოცანებია: პოზიტიური ურთიერთობის გაღრმავება კომპანიას და BP-ის მილსადენების მარშრუტის მიმდებარე მცხოვრებ მოსახლეობას შორის, განვითარების პროექტების ინვესტირების და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: დახმარება სოფლის მეურნეობის სფეროში, ბიზნესის ხელშეწყობა, სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აგრეთვე, სათემო ორგანიზაციების მიერ სოციალურად ორიენტირებული საწარმოების შექმნა.

CDI 4- პროგრამის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს სოციალური თანამშრომლობის საიმედო ფორმების და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რეგიონული აგრობიზნესის ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნა საქონლის და მომსახურების მიწოდების მიზნით.

2013 წლის დეკემბერში, პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის კომპონენტის გაფართოების მიზნით, დაიწყო სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პილოტური პროექტების განხორციელება.

პროგრამის მართვა და კოორდინაცია

CDI პროგრამების მართვა ხორციელდება კომპანიის თბილისის ოფისში მოქმედი სოციალური პასუხისმგებლობის ჯგუფის მიერ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მონიტორინგს და შეფასებას ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მრჩეველის სამუშაო დრო სრულად ეთმობა. იგი სისტემატურად მონაწილეობს საველე საქმიანობაში, ამოწმებს ყოველთვიურ, კვარტალურ, წლიურ და დასკვნით ანგარიშებს, აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და სხვა სოციალურ ქვეკონტრაქტებს, აღრიცხავს შესაბამის ინვოისებს. უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა და პროცედურები BP-ის პრინციპებს ესადაგებოდეს, რომ პარტნიორმა ორგანიზაციებმა განუხრელად დაიცვან BP-ის ქცევის კოდექსი და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, რომლის მიხედვით, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ ქცევის კოდექსის სრული დაცვით, როცა სამუშაოს BP-ის სახელით ასრულებენ.

CDI მრჩეველი ექვემდებარება სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერს.

პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები BP-ის წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებშიც შეჯამებულია საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოები და განსაზღვრულია მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები და მათი გადაჭრის გზები. ყოველ კალენდარულ კვარტალში წარმოდგენილ ანგარიშებში უფრო სიღრმისეულად არის გაშუქებული ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. წლიურ ანგარიშში ძირითადი ყურადღება ეთმობა შედეგებს, მონიტორინგს და შეფასებას, პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს და ა.შ. დასკვნით ანგარიშში ხაზგასმულია პროექტის მიღწევები და შესაბამისად მიღებული შედეგები. აგრეთვე, მოცემულია პროგრამის შედეგების ზოგადი მიმოხილვა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და შექმნილი გამოცდილება.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-4 ფაზა (CDI 4) - BTC/SCP მილსადენების პროექტებისთვის

მიზნები და ძირითადი კომპონენტები

- სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები

- სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმების და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა
- 31 სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელება;

- 11 სათემო ორგანიზაციის მიერ სოციალური საწარმოების შექმნა, შემოსავლის ზრდის და სოფლების მოსახლეობისთვის მათი მომსახურების გაწევის მიზნით;
 - კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ობიექტებით და სოციალური საწარმოებით ისარგებლებს 25 ათასზე მეტი ადამიანი
- **ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის მიღწევის შემადგენელი ნაწილები**
 - მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება აგრობიზნესის გასავითარებლად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა და მოსახლეობისთვის საქონლის და მომსახურების მიწოდება;
 - 105 მცირე და საშუალო საწარმოს შექმნა, მინიმუმ 40% ქალების მონაწილეობით;
 - პროგრამით დაფინანსებული ახალი ბიზნესების 70%-ის მომგებიანობის უზრუნველყოფა გახსნიდან 12 თვეში;
 - ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის რაიონებში 3 ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის შექმნა;
 - ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფების მიერ პროექტის ბენეფიციარებს გაეწევათ 36 საფინანსო და იურიდიული სახის მომსახურება;
 - 100 სადემონსტრაციო ფერმის შექმნა;
 - მინიმუმ 150 ფერმერს / პროდუქციის მწარმოებელს (რომელთა 30% ქალია) შეექმნებათ ქალაქებში პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა;
 - 1800 ფერმერული მეურნეობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას;
 - პროექტის სამიზნე თემების მოსახლეობა და 6 სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აიმაღლებენ ცოდნას სასოფლო კოოპერატივების შესახებ მიღებული კანონის და ფერმერთა გაერთიანებებისთვის ამ კანონის უპირატესობის შესახებ;
 - შეიქმნება 6 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი;
 - მილსადენების მიმდებარე რაიონების ფერმერებზე გაიცემა 470 სუბსიდირებული აგროსესხი;
 - მოხდება სამიზნე შინამეურნეობების შემოსავლების 20%-იანი ზრდა.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

პროექტის შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ:

2013 წლის ბოლოს, კომპანია ბპ-მ ტენდერის საშუალებით მოიწვია სამი საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტი, რათა მათ განეხორციელებინა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზის (CDI4) შუალედური შეფასება, დაედგინა პროგრამის ეფექტურობა, გაცნობოდა კრიტიკულ საკითხებს და შედეგებს, მოესმინა რეკომენდაციები საქმიანობის

გასაგრძელებლად და დაედგინა სწორი მიდგომები და სტრატეგიები პროგრამის დარჩენილ პერიოდში დასანერგად.

შეფასების ძირითადი შედეგები:

- სამიზნე სოფლებში საგრძნობლად გაიზარდა აგრარული პროდუქტიულობის და მატერიალური უკუგების მაჩვენებლები, შეიქმნა ქმედითი სოციალური კავშირების ქსელი. პროგრამის ნაციონალიზაციის ფარგლებში შერჩეული ადგილობრივი განმახორციელებელი პარტნიორები წარმატებულები აღმოჩნდნენ;
- პროგრამის მართვის მოდელი ოპტიმალურია, ქმნის დადებით ბალანსს პროგრამის ადგილობრივ საველე ექსპერტებს, სახელმწიფო უწყებებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. თვალსაჩინოა მოსახლეობის მიერ მათი სტრატეგიის, პროექტების მექანიზმების გაზიარების და ათვისების მაღალი დონე.
- პროგრამის უწყვეტობამ და მიზანმიმართულობამ შექმნა იმაზე ბევრად მეტი ღირებულება ფასეულობა, ვიდრე პროგრამის განხორციელების დანახარჯებია. შახეზეა ბევრი შედეგი, რომელიც მეტყველებს პროგრამის დადებით გავლენაზე. დაიძლია მრავალი დაბრკოლება. მნიშვნელოვანია ის მექანიზმები, რომელსაც პროგრამა იყენებს და რაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული შედეგი მაინც კომპანიის მიმართ საზოგადოების დადებით განწყობაშია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, მოსახლეობასთან უშუალო, ურთიერთნდობის და სისტემატური ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

მთავარი სირთულეები საანგარიშო კვარტლის განმავლობაში

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში წვიმების გახანგრძლივებულმა სეზონმა ნარგავებს, განსაკუთრებით ბოსტნეულის ნარგავებს, ღპობის საფრთხე შეუქმნა. პროექტის აგრარულმა სპეციალისტებმა ფერმერებს გაუწიეს საგანგებო კონსულტაციები, მცენარეთა დაცვის დამატებითი საშუალებების შესახებ. შედეგად, სადემონსტრაციო ფერმების უმრავლესობამ ნარგავების გადარჩენა შეძლო.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა მათგანმა იმდენად მასშტაბური ზარალი განიცადა, რომ დამატებითი ღონისძიებების გატარებით ზარალის მნიშვნელოვნად შემცირება ვერ მოხერხდა. შემოწმებამ გამოავლინა, რომ ბორჯომის რაიონში მდებარე სადემონსტრაციო ფერმების 40%-მა ზარალი განიცადა. ხშირი სეტყვის გამო ასევე მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს წალკის რაიონში მდებარე სადემონსტრაციო ფერმებმაც.

მოსახლეობის ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება, სათემო ორგანიზაციების საქმიანობა

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტები

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, პროგრამის სამიზნე სოფლებში შეირჩა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 19 ახალი პროექტი. ყველა მათგანი განხორციელების ეტაპზეა. გასულ კვარტალში განხორციელებული 30 პროექტიდან ყველა ექსპლუატაციაშია.

CDI-ადმოსავლეთის სოფლებში, ადგილობრივი ხელისუფლება ფინანსურად არ მონაწილეობს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებში, მაგრამ მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობისა და CDI პროექტის ყველა ერთობლივ ინიციატივას. ამგვარი თანამშრომლობის კარგი მაგალითია სოფელ ირაგაში მდებარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი. საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით და პროექტის ფინანსური დახმარებით, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიღო საბავშვო ბაღის პერსონალის ხელფასებისა და კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება, რისთვისაც შესაბამისი თანხები გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალურ ბიუჯეტში.

სოციალური საწარმოები

აქტიური აგრარული სეზონის გამო, გასული კვარტალი ყველა სოციალური საწარმოსთვის დატვირთული იყო. ამ პერიოდში სულ 205 მომსახურება გააწვია მოსახლეობას, ხოლო სოციალური საწარმოების მიერ მიღებულმა მოგებამ დაახლოებით 3500 ლარი შეადგინა.

პრაქტიკული მაგალითი

CDI-ს სოციალური საწარმოები – სათემო კოოპერაციის უპრეცედენტო მოდელი რაიონში

პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, ახალციხის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში – ივლიტაში, აგარასა და წინუბანში – აგრარული მომსახურების სოციალური საწარმოები შეიქმნა. საწარმოები იმართება ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების მიერ, რომელთა საკუთრებაშიც არის პროექტის მიერ გაცემული თანადაფინანსების გრანტით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

სოციალური საწარმოები უკვე 12-18 თვეა ფუნქციონირებს. მათ მიერ გაწეული მომსახურების საფასურმა მთლიანად 30 ათას ლარს გადააჭარბა. საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც საკუთარი წევრების კუთვნილი მიწის ნაკვეთების დამუშავებას დაასრულებენ, სოციალური საწარმოები მეზობელი სოფლების მოსახლეობასაც უწევენ მომსახურებას, საბაზრო ფასებით. მათი შემოსავლების 50% სწორედ არაწევრი კლიენტებისთვის გაწეულ მომსახურებაზე მოდის, რაც ხელს უწყობს საწარმოების სტაბილურობის ზრდას და აძლევს მათ საშუალებას, რომ ახალი, დამატებითი მექანიზმების შესყიდვის გზით, საკუთარი მომსახურების დივერსიფიკაციაზე იზრუნონ. კონსულტაციების წარმატებული პროცესის შედეგად, სამივე საწარმომ 3775

ღარის (მათი ჯამური მოგების 30%-ის) რეინვესტირება განახორციელა და ამ თანხით დამატებითი მექანიზმები შეისყიდა.



დახმარება სოფლის მეურნეობის დარგში და ახალი ბიზნესების დასაწყებად

სოფლის მეურნეობა

პროგრამის დასაველეთ სექტორში კვლავ გაგრძელდა პირველი ეტაპის სადემონსტრაციო ფერმების მიერ ტექნოლოგიების გადაცემის პროცესის შეფასება. პროექტის სამიზნე სოფლებიდან დამატებით 99-მა ფერმერმა მიიღო მონაწილეობა ბოსტნეულის მოყვანის მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემის პროცესში. სულ ტექნოლოგიების გაზიარების 319 შემთხვევა არის აღრიცხული და მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის შემდგომი ზრდა.

პროგრამის მონაწილე სოფლების ფერმერებს სულ 425 ინდივიდუალური კონსულტაცია და 44 ჯგუფური ტრენინგი ჩაუტარდათ.

აგრარული კოოპერატივების შექმნა

მეორე რაუნდის ფარგლებში მიღებული 12 განაცხადიდან CDI-ს მიერ შეირჩა 6 წინადადება კოოპერატივის შექმნის თაობაზე. პროექტის მიერ სპეციალურად ამ მიზნით მოწვეული იურიდიული საკონსულტაციო ფირმის აქტიური ტექნიკური დახმარების მეშვეობით, მათ მიენიჭათ „აგრარული კოოპერატივის“ იურიდიული სტატუსი, რის შემდეგაც პროექტმა თითოეულ მათგანთან გააფორმა კონტრაქტი.



ბიზნესის წამოწყება

არსებული ბიუჯეტის ფარგლებში დაზოგილი თანხის მეშვეობით, CDI-ს ფარგლებში მოხერხდა იმ ტიპის საქმიანობის ხელშეწყობა, რომელიც მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საანგარიშო კვარტლის განმავლობაში დამატებით 63 მცირე ბიზნესი შეიქმნა, რაც დაგეგმილ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აჭარბებს. მიმდინარეობს წარმოდგენილი ბიზნესწინადადებების განხილვა და მომავალი კვარტლის განმავლობაში დასრულდება კიდევ რამდენიმე წინადადების შერჩევის პროცესი. საანგარიშო კვარტლის განმავლობაში პროექტის მონაწილე დასახლებებში შეიქმნა 144 ახალი ბიზნესი.

მომდევნო კვარტალი

CDI 4 – აღმოსავლეთი

- გაგრძელება მუშაობა ფერმერებთან და მათთვის შესაბამისი ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება.
- დაფინანსდება აგრარული კოოპერატივები და განხორციელდება მათი საქმიანობის მონიტორინგი.

CDI 4 – დასავლეთი

- სრულად ამოქმედდება ყველა ახლად შექმნილი მცირე ბიზნესი.
- ფუნქციონირებას დაიწყებს ყველა აგრარული კოოპერატივი.
- ჩატარდება სათემო ორგანიზაციების უნარების განვითარების ტრენინგები;
- გაანალიზდება კვარტალური კვლევის შედეგები, რომელიც ახალი ბიზნესების მარკეტინგული საჭიროებების დადგენას ისახავდა მიზნად.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა **SCPX-ის** სამშენებლო ტერიტორიებთან მიმდებარე სოფლებისთვის (**CDI SCPX**)

სამხრეთ-კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის განხორციელება, კონსორციუმში შემავალი პარტნიორების სახელით, დაიწყო **BP-მ**, როგორც სამხრეთ კავკასიური მილსადენის (**SCP**) ოპერატორმა. პროექტის მიზანია, არსებული სამხრეთ კავკასიური მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა, რათა მოხდეს დამატებითი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის შაჰ-დენიზის საბადოდან.

BP, კონსორციუმში შემავალ პარტნიორებთან ერთად, თავისი საქმიანობით დაკავშირებულია **SCPX-ის** სამშენებლო ტერიტორიებთან ახლომდებარე დასახლებებთან. შესაბამისად, კომპანიამ გადაწყვიტა დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა **SCPX-ის** სამშენებლო დერეფანში მდებარე სოფლებისთვის - **CDI SCPX**.

CDI SCPX იმეორებს იმავე პროგრამულ მოდელს, რომელიც პროგრამის წინა ფაზებში იყო გამოყენებული. კერძოდ, მის ძირითად სტრატეგიად კვლავ რჩება სამიზნე ტერიტორიებზე ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური პლატფორმის შექმნა, რათა უკეთესი გარემო ჩამოყალიბდეს დასახლებების მდგრადი განვითარებისთვის და, შესაბამისად, განმტკიცდეს **BP-ის** საზოგადოებრივი სახე, როგორც პროგრამის განხორციელების არეალში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

CDI SCPX დაიწყო 2013 წლის მაისში და გაგრძელდება 2015 წლის მაისის ბოლომდე. პროექტი განხორციელდება 18 ახალ სოფელში. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში პროექტის სამიზნე ტერიტორიები მოიცავს გარდაბნის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონების თორმეტ ახალ სოფელს, რომლებიც პროგრამის სამიზნე სოფლებს ადრე არ წარმოადგენდნენ. დასავლეთ ნაწილში პროექტი მუშაობა დაიწყო ხუთ ახალ სოფელში, რომლებიც ახალციხის და ადიგენის რაიონებში მდებარეობს. პროექტის სამიზნე ტერიტორიების ფარგლებში ასევე მოექცა ქალაქ რუსთავის მე-18, მე-19 მიკრორაიონების 8 საცხოვრებელი კორპუსი. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია ტრენინგების და კონსულტაციების ცენტრი (**CTC**), დასავლეთ ნაწილში – რეგიონული განვითარების ასოციაცია (**RDA**), ხოლო რუსთავის მიკრორაიონებში – “საქართველოს სკაუტური მოძრაობა”. **CDI SCPX** -ის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 687,000 აშშ დოლარს.

პროექტის მიზნები და ძირითადი კომპონენტები

სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები:

- განხორციელდება 31 სოფლის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტი;

- შეიქმნება 17 სოფლის სათემო ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს სოფლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას;
- პროექტთან თანამშრომლობით ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობის 3000 ოჯახზე მეტი;
- სოფლებში მცხოვრები 40 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდულ ჯგუფებში, განახორციელებს 4 გარემოსდაცვით პროექტს და 30 მცირემასშტაბიან გარემოსდაცვით საქმიანობებს;
- 40 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას პროექტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო ბანაკში.

ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები

სამიზნე სოფლებში:

- შეიქმნება 16 სადემონსტრაციო და 40 კომბინირებული საკვების სადემონსტრაციო ფერმა 80 სული საქონლისთვის;
- ჩამოყალიბდება ფერმერთა მომსახურების 2 ჯგუფი და 1 რძის შემგროვებელი ცენტრი;
- შეიქმნება 34 მცირე ბიზნესი;
- 76 პოტენციური მეწარმე გაიუმჯობესებს ბიზნესის მართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

მთავარი სირთულეები საანგარიშო კვარტლის განმავლობაში

წვიმების გახანგრძლივებული სეზონის გამო, ყველა სადემონსტრაციო ნაკვეთზე შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით ნალექი, რაც მცირე მასშტაბის, მაგრამ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ნარგავებზე, განსაკუთრებით, ბოსტნეულის ნარგავებზე. პროექტის მიერ მოწვეულმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ფერმერებს მიაწოდეს ინფორმაცია ნარგავების მოვლისა და დაავადებათა თავიდან აცილებისთვის საჭირო დამატებითი საშუალებების შესახებ.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროექტის კონკურსის მეორე რაუნდის ფარგლებში შეირჩა სამი ახალი პროექტი. გაფორმდა ხელშეკრულებები შესაბამის სათემო ორგანიზაციებთან. ყველა მათგანმა მიიღო დაფინანსება და უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სულ განხორციელდა და ექსპლუატაციაშია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 10 პროექტი.

პრაქტიკული მაგალითი

ფოლადანთკარის გზის რეაბილიტაციის პროექტი

სოფელ ფოლადანთკარს ორი ძირითადი მისასვლელი გზა გააჩნია, აქედან ერთ-ერთი მას სოფელ გამარჯვებასთან აკავშირებს, ხოლო მეორე – ცენტრალურ ავტომაგისტრალთან. ამ უკანასკნელით სარგებლობა შეუძლებელი გახდა, გზის ძლიერ დაზიანებული 80 მეტრი სიგრძის მონაკვეთის გამო, რომელზეც გადაადგილება მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილებს შეეძლო.


პროექტის დახმარებით, სოფლის მოსახლეობამ შეძლო გზის ამ 80 მეტრიანი მონაკვეთის შეკეთება.

„ფოლადანთკარის მცხოვრებთათვის ამ პროექტის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან, დაზიანებული მონაკვეთის გამო, ამ გზაზე ავტოტრანსპორტი უკვე ვეღარ მოძრაობდა და სამარშრუტო მიკროავტობუსებიც ამ გზით არ სარგებლობდნენ. ახლა კი ბავშვებსა და მოხუცებს უკვე შეუძლიათ იმზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით დანიშნულების ადგილებამდე“, ამბობს სოფლის სათემო ორგანიზაციის წევრი როლანდ ზუბაშვილი.

სოფლის მეურნეობა

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, წალკის რაიონის ზოგიერთ სოფელში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები შეიქმნა, რის გამოც სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება საკმაოდ დაგვიანდა.

პროგრამის მონაწილე სოფლებში ჩატარდა 7 ჯგუფური ტრენინგი, 31 ფერმერის მონაწილეობით, აგრეთვე 29 ფერმერს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაცია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.



მომსახურების ჯგუფები

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში შეიქმნა მომსახურების 4 ჯგუფი, რომლებიც მოსახლეობას გაუწევენ შემდეგი სახის მომსახურებას: აგრარული მომსახურება, ტრანსპორტით მომსახურება და წისქვილი.

ოთხივე მომსახურების ჯგუფი რეგისტრირებულია. მათ უკვე ჩაერიცხათ დაფინანსების თანხები და დაიწყეს ფუნქციონირება.

მცირე ბიზნესების დაწყება

კონკურსის შედეგად, დაფინანსებისთვის შეირჩა 9 ახალი ბიზნესწინადადება.

უკვე შექმნილი 16 ბიზნესი აგრძელებს ფუნქციონირებას. კვარტლის მონაცემებით, ამ ბიზნესების მიერ მიღებულმა მოგებამ ჯამში საშუალოდ 4430 ლარი შეადგინა.

რუსთავის მე-10 და 28-ე საჯარო სკოლების აქტივობები

ორივე სკოლასთან გაფორმდა მიკროგრანტების ხელშეკრულებები და დაიწყო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ახალგაზრდების ჯგუფები აგრძელებენ მუშაობას სკოლის მოსწავლეებთან, ეხმარებიან მათ მცირემასშტაბიანი ეკოლოგიური აქტივობების განხორციელებაში და აწვდიან ინფორმაციას გარემოს დაცვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ისინი ინფორმაციას მოიპოვებენ რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, BP-ის საჯარო ანგარიშებიდან და სკოლის მოსწავლეებისთვის ატარებენ საინფორმაციო სემინარებს.

პრაქტიკული მაგალითი

“BP-ის შესახებ მოვამზადე პრეზენტაცია, რადგან მსურდა მეტი გამეგო ამ კომპანიის შესახებ და ჩემი ცოდნა მეგობრებისთვის გამეზიარებინა. ჩემთვის ეს ძალზე საინტერესო იყო, რადგან მეტი ინფორმაცია მივიღე, თუ რა მექანიზმები გააჩნია BP-ს ნავთობის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან BP-ის კუთვნილი მილსადენები ჩვენი სახლებიდან არც თუ ისე მოშორებით გადის“, ამბობს რუსთავის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლე მეგი ხუხუა.

„BP-ის შესახებ ბევრი ახალი რამ შევიტყვე, მაგალითად, ახლა უკვე ვიცი, რომ BP-ისთვის პრიორიტეტულია გარემოს დაცვა და კომპანია მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროგრამებს, ასევე ეხმარება მრავალ სხვადასხვა სფეროს, როგორცაა განათლება, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და ასე შემდეგ. სასიამოვნო იყო იმის გაგება, თუ რამდენად დიდ ყურადღებას უთმობს BP უსაფრთხოებას და რომ მისი მილსადენები სრულიად დაცული და უსაფრთხოა“, ამბობს რუსთავის 28-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთი ზვიადაური.

მომდევნო კვარტალი

CDI SCPX - დასავლეთი

- დასრულდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ყველა პროექტი.
- გამოქვეყნდება სტატია SCPX პროექტის სოფლებში მიმდინარე CDI პროგრამის შესახებ.
- ჩატარდება მიმდინარე სამუშაოების კვარტალური კვლევა.

CDI SCPX - აღმოსავლეთი

- დასრულდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტების განხორციელება, SCPX პროექტის მოკლევადიანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში.
- SCPX პროექტის მოკლევადიანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებში გაიმართება შესვედრები მოსახლეობასთან, რათა განისაზღვროს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პრიორიტეტული პროექტები.

CDI SCPX - ქ. რუსთავი

- კონკურსით შერჩეულ მეწარმეებს ჩატარდებათ ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგები.
- გაიცემა ბიზნესგრანტების თანხები.
- მოეწეობა საზაფხულო ბანაკი.
- განხორციელდება მიკროგრანტების პროექტი.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა WREP მილსადენის მიმდებარე სოფლებისთვის

2009 წელს კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოში WREP მილსადენის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა, BTC და SCP მილსადენებისთვის შექმნილი პროგრამის მართვის ერთიან სტრუქტურაში მოქცეულიყო. შედეგად, სატენდერო წინადადებების მოთხოვნის (RfP) პროცესის ფარგლებში, პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. პროექტის სამიზნე მიმართულებად განისაზღვრა ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

“ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის” განხორციელება 2010 წლის მაისში დაიწყო. სატენდერო პროცესის მეშვეობით, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციად შეირჩა არასამთავრობო

ორგანიზაცია „საქართველოს სკაუტური მოძრაობა“, რომელიც პროექტის ფარგლებში თანამშრომლობდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - “ტრენინგის და კონსულტაციების ცენტრთან”.

პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის მაისი. პროექტის მთლიანი ბიუჯეტმა 482,013 აშშ დოლარი შეადგინა BP-ის მიერ, ამ პროექტის განსახორციელებლად, 299,923 აშშ დოლარი გამოიყო. 173,490 აშშ დოლარის თანადაფინანსება გამოიყო სკაუტების ადგილობრივი ორგანიზაციის და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრის“ (CTC) მიერ. აგრეთვე, „შვეიცარიის მეგზურების და სკაუტების მოძრაობასთან“ ერთად განხორციელებული პროექტის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, დამატებით, BP-ის მიერ, 55,500 აშშ დოლარი გამოიყო სხვა ღონისძიებებისათვის. მათ შორის, მეორე საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად და აგრეთვე, სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ჩასატარებლად, პროექტის მონაწილე სკოლების მასწავლებლებისთვის. პროექტის ყველა აღნიშნული დამატებითი ღონისძიება დაიგეგმა სამიზნე (სოფლების სკოლების და ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებების შეფასების და ანალიზის საფუძველზე. დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად, პროექტი გაგრძელდა 2012 წლის ივნისის ბოლომდე.

2012 წლის მე-3 კვარტალში კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი WREP მილსადენის გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ახალი პროექტების განმახორციელებელი პარტნიორის გამოსავლენად.

WREP მილსადენის მთელი მარშრუტის მიმდებარე სოფლებში დაიგეგმა “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი” (SBDP), რომლის განმახორციელებელ პარტნიორად, ტენდერის გზით, შეირჩა “საქართველოს სკაუტური მოძრაობის” ადგილობრივი ორგანიზაცია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2012 წლის ოქტომბერში და მისი დასრულება 2015 წლის დეკემბრის ბოლოს იგეგმება. პროექტის მიმდინარეობისას წარმოიშვა რამდენიმე სირთულე, კერძოდ: 1) ზოგიერთმა ბიზნესმა, მისი სეზონური ხასიათიდან გამომდინარე, ფუნქციონირება დაიწყო მოგვიანებით, რითაც შემცირდა ერთწლიანი მონიტორინგის პერიოდი, რომელიც საჭირო იყო მათზე დაკვირვების, კონსულტაციების გაწევის და განვითარებისთვის; 2) დაფინანსებული ბიზნესების წარმატებული ფუნქციონირებისთვის, გამოიკვეთა პროფესიული და აგრარული სფეროს ტრენინგების/კონსულტაციების საჭიროება, რომლებიც არ იყო დაგეგმილი. ბენეფიციარების მხრივ მუდმივად იყო მოთხოვნა სპეციალიზებულ ტრენინგებზე; 3) იძულებით გადაადგილებულ პირთა მხრივ იყო მაღალი მოთხოვნა, რომ მათი დასახლებების ახალგაზრდობას მონაწილეობა მიეღო მინიმუმ კიდევ ერთ საზაფხულო ბანაკში და გაედრმავებინა ცოდნა გარემოს დაცვის დისციპლინებში და ასევე კავშირები თავიანთ თანატოლებთან.

პროექტის მთლიანი ღირებულება 1,538,008 აშშ დოლარია. ქედან, BP-ის დაფინანსება 1,448,473 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო, სკაუტური მოძრაობის თანადაფინანსება – 89,535 აშშ დოლარს უდრის.

პროექტი მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას და განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობს WREP მილსადენის გასწვრივ მდებარე 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს). სამიზნე სოფლების სიაში ასევე აღმოჩნდა რამდენიმე სოფელი, რომლებიც BP-ის მიწისზედა ობიექტებთან მისასვლელი გზების 4 კმ სიგანის დერეფანში მდებარეობენ (2კმ გზის თითოეულ მხარეს), და რამდენიმე სოფელი, რომლებიც, კომპანიის რომელიმე ინტენსიური ოპერატიული საქმიანობის მიმდინარეობის გამო, ითვლებიან ზემოქმედების გავლენის ქვეშ არსებულ ტერიტორიებად.

სამიზნე სოფლების გარდა, პროექტი ასევე ხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხ დასახლებაში, რომლებიც WREP მილსადენიდან 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს) მდებარეობენ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა, ძირითადად, მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნის ამაღლებას და მათი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვემოთ აღწერილია მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები.

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი (SBDP) – მიზნები და ძირითადი კომპონენტები:

- მილსადენის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის შესაძლებლობების შექმნა, რათა მათ განავითარონ მცირემასშტაბიანი აგრო - და ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების ცოდნის და ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო საშუალებების გადაცემის გზით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა 4 სამიზნე დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად გარემოსდაცვითი საგანმათლებლო ინიციატივების განხორციელება, გარემოს დაცვის სფეროში დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემა, რაც შეცვლის მათ დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოს მიმართ;
- ორგანიზაციის - “საქართველოს სკაუტური მოძრაობა” შესაძლებლობების განვითარება, რათა მოხდეს მათ მიერ გაწეული ხარისხიანი მომსახურების დივერსიფიკაცია.

პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი მთავარი შედეგებია:

- 275 ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნა, რომელთაგან მინიმუმ 75% უნდა გახდეს ფინანსურად მდგრადი, რათა მიღებული მოგების რეინვესტირების გზით შეძლოს ბიზნესის გაფართოება და შემდგომი განვითარება; ინიშუმ, 275 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;
- გრანტების 50% გაცემა სოფლებში ბიზნესის დაწყების მსურველ ქალებზე;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის “მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის” გაცნობა.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:

ჩატარებული საქმიანობის დეტალური მომხილვა, მიღწევები და შედეგები:

WREP მილსადენის სოფლებში შექმნილი მცირე ბიზნესების დასაფინანსებლად უკვე გაიცა 279 გრანტი (284-დან).

პროგრამის ამ კომპონენტის მთავარი შედეგი არის სოფლებში დასაქმების მხრივ არსებული სიტუაციის გაუმჯობესება. საანგარიშო პერიოდში დასაქმდა 389 პირი, რომელთა შორის არიან როგორც მეწარმეების ოჯახის წევრები, ისე გარეშე პირებიც.

ამ ბიზნესებიდან 188 მათგანი უკვე იღებს მოგებას. გასული კვარტლის განმავლობაში, ბიზნესების მიერ მიღებულმა სუფთა მოგებამ 144,581 ლარი შეადგინა. თითო ბიზნესის მიერ მიღებული მოგება საშუალოდ 518 ლარს შეადგენს.

ჩატარდა ტრენინგი საგადასახადო საკითხებზე, რომელსაც 255 ბენეფიციარი დაესწრო. ტრენინგის მეშვეობით, მათ უკეთ აითვისეს თვის, კვარტლის და წლის დეკლარაციის, აგრეთვე დაუბეგრავი მინიმუმის დეკლარაციის შევსების წესი. საკითხში უკეთ გარკვევის შემდეგ და გადასახადებით დაბეგრის უკეთესი პირობების გამო, ზოგიერთმა მეწარმემ, რომლებიც უკვე ინდივიდუალურ მეწარმედ იყვნენ დარეგისტრირებული, მიკრობიზნესად დარეგისტრირება გადაწყვიტა.



გრძელდება მცირემასშტაბიანი გარემოსდაცვითი ინიციატივების განხორციელება.

წეროვანის მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯგუფის ორგანიზებით, წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების ტერიტორიაზე დაირგო 30 ხე.

ხურვალეთისა და სვენეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯგუფებმა ორგანიზება გაუწიეს სკოლის ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებას, 50 სხვა მოსწავლისა და სკოლის ადმინისტრაციის მონაწილეობით.

მიმდინარეობს მიკროგრანტებით დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ივლისის ბოლოსთვის დასრულდება.

მომდევნო კვარტალი

- ბიზნესებისთვის ადგილზე ჩატარდება პროფესიული კონსულტაციები.
- განხორციელდება მიკროგრანტებით დაფინანსებული გარემოსდაცვითი პროექტები.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებების მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მოეწყობა საზაფხულო ბანაკი.

აკრონიმები

BTC/SCP	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი/სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
SCPX	სამხრეთ კავკასიური გაზსადენის გაფართოება
WREP	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი
CDI	ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა
CIP	საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა
FtM	ფერმერები და ბაზარი
YCBP	ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი
SBDP	მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RDA	რეგიონული განვითარების ასოციაცია
CTC	ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრი
RFP	სატენდერო წინადადებების მოთხოვნა
CBO	სოფლის სათემო ორგანიზაცია
FLSG	ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები

დასასრული